

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი



იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში
საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის
შესახებ
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

(დამტკიცებულია 2012 წ. 6 აპრილს აკადემიურ საბჭოს სხდომაზე)

(ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს სხდომაზე. ოქმი# 13. 2013 წლის 3 აპრილს)

ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:
ოქმი N. 21, 24 აპრილი 2015;

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

/ირმა შიოშვილი/

T e l a v i

2 0 1 5

1. საბაკალავრო ნაშრომი არის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი, რომელიც სრულდება სწავლების ბოლო მერვე სემესტრში და მოიცავს მინიმუმ 10 ECTS კრედიტს. საბაკალავრო ნაშრომი სრულდება ძირითადი (Major) და რეგულირებადი საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში.
2. დიპლომის დანართში საბაკალავრო ნაშრომი შედის, როგორც ცალკე პუნქტი და ფასდება, როგორც სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული კვლევითი კომპონენტი.
3. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება რექტორის მიერ დანიშნული საგამოცდო კომისიის წინაშე. კომისიის შემადგენლობაში შედის შესაბამისი/მონათესავე მიმართულების მინიმუმ **3-5 პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ პროფესორი.**
4. **საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი მიმართულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი, აუცილებლობის შემთხვევაში კი – შესაბამის მიმართულებაში დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი.**
5. ერთსა და იმავე სემესტრში ერთი პროფესორი შეიძლება იყოს მაქსიმუმ **10** საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი. გამონაკლისი შემთხვევა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებული იქნება ამის ობიექტური აუცილებლობა. ასეთ აუცილებლობას ადგენს ფაკულტეტის საბჭო, დეპარტამენტის ან შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.
6. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია სისტემატური ზედამხედველობა გაუწიოს სტუდენტის მუშაობას, დაეხმაროს მას სამუშაო პროცესის გეგმიურად წარმართვაში, გაუწიოს სათანადო კონსულტაციები, განუმარტოს სტუდენტს მისი უფლება-მოვალეობები და მოსთხოვოს მათი დაცვა.
7. საბაკალავრო ნაშრომის თემის შერჩევა ხდება სტუდენტისა და მისი ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე. სასურველია საბაზო დეპარტამენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის ზოგადი პრობლემატიკის ჩამონათვალის მომზადება, რომელსაც სტუდენტი დაეყრდნობა საკუთარი თემის შერჩევისას. **სტუდენტი უფლებამოსილია თვითონ შეარჩიოს საბაკალავრო თემის ხელმძღვანელი, რომელიც იქნება კომპეტენტური საბაკალავრო ნაშრომის თემატიკის მიმართულებით.**
8. საბაკალავრო ნაშრომის თემის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს ხელმისაწვდომი ლიტერატურის არსებობა, სასწავლო და სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის შესაძლებლობები.
9. სტუდენტის მიერ შერჩეულ თემას განიხილავს საბაზო დეპარტამენტი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, რის შესახებაც ფორმდება შესაბამისი ოქმი. თემის დამტკიცება ხდება მერვე სემესტრის **დასაწყისში.** ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული თემის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ. თემის შეცვლა შესაძლებელია მოხდეს მერვე სემესტრის პირველი თვის დასრულებამდე.
10. იმ შემთხვევაში, თუ საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და დაცვა არ ესწრება მერვე სემესტრის დასრულებამდე, სტუდენტს რჩება აკადემიური დავალიანება, რომლის დაფარვაც **შესაძლებელია** სტუდენტის საკუთარი ხარჯით **დამატებით სემესტრში.** თუ სტუდენტმა ვერ მოახერხა დამატებით სემესტრშიც საბაკალავრო ნაშრომის დაცვა მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

11. საბაზო დეპარტამენტი ვალდებულია თვალყური ადევნოს სტუდენტის მუშაობას საბაკალავრო ნაშრომზე და პერიოდულად მოისმინოს მუშაობის ანგარიში სტუდენტისგან და მისი ხელმძღვანელისგან დეპარტამენტის სხდომებზე. დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, ჩაბარებისა და დაცვის ვადებს და უზუნველყოფს ამ ინფორმაციის საჯაროობას ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით.
12. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი აუცილებელი პუნქტებისაგან:
- თავფურცელი [დანართი №1 შესაბამისად];
 - სარჩევი [თანმიმდევრულად უნდა აისახოს ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და/ან პარაგრაფის ზუსტი დასახელება საწყისი და ბოლო გვერდების ნომრების მითითებით];
 - ნაშრომი:
 - შესავალი [უნდა აისახოს თემის მიზანი და დასმული ამოცანები, გამოყენებული სამეცნიერო აპარატი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა];
 - ძირითადი ნაწილი [უნდა აისახოს ნაშრომის შინაარსი და სასურველია დაყოფილ იქნას თავებად და/ან პარაგრაფებად];
 - დასკვნა [უნდა აისახოს ნაშრომის ძირითადი შედეგები, რაც მოკლედ და კონკრეტულად უნდა პასუხობდეს ნაშრომის მიზნებსა და დასმულ ამოცანებს];
 - **გამოყენებული ლიტერატურა გაფორმებული უნდა იყოს APA ფორმატის მიხედვით. აგრეთვე დასაშვებია:** ანბანური თანმიმდევრობით აკადემიური წერის სტანდარტების შესაბამისად; ანბანურ ჩამონათვალში თავდაპირველად უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ უცხოურ ენაზე/ენებზე;
 - დანართი [საჭიროების შემთხვევაში].
13. საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ენაა ქართული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი სრულდება უცხოენოვანი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში დასაშვებია ლიტერატურის გამოყენება უცხო ენაზე/ენებზე.
14. საბაკალავრო ნაშრომის გაფორმება ხდება შემდეგი წესის მიხედვით:
- ნაშრომი უნდა იყოს დაბეჭდილი A4 ზომის სტანდარტულ ქაღალდზე;
 - შრიფტი – Sylfaen;
 - ფონტის ზომა – 12;
 - სტრიქონებს შორის ინტერვალი – 1,5;
 - სტანდარტული მინდვრები: მარცხენა – 3 სმ., მარჯვენა – 1,5 სმ., ზედა – 2 სმ., ქვედა – 2 სმ.;
 - ნაშრომის გვერდები, გარდა თავფურცელისა, უნდა იყოს დანომრილი.
15. მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, **ხელოვნების მიმართულების, სპორტის მიმართულების**, საინჟინრო და აგრარული მეცნიერებების მიმართულების საგანამანათლებლო პროგრამებისათვის საბაკალავრო ნაშრომის მინიმალური მოცულობაა **15** გვერდი, მაქსიმალური – **35** გვერდი, ხოლო დანარჩენი პროგრამებისათვის კი – მინიმალური მოცულობაა 25 გვერდი, მაქსიმალური – 35 გვერდი, თავფურცელისა და ბიბლიოგრაფიის ჩათვლით.
16. საბაკალავრო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს საბაზო დეპარტამენტში დაბეჭდილი და ყდაში აკინძული სახით, ორ ეგზემპლარად, ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილ და საჯაროდ გამოცხადებულ ვადებში. სტუდენტი აგრეთვე ვალდებულია წარმოადგინოს კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი ნაშრომის ელექტრონული ვერსია.

17. სტუდენტი დაიშვება საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე თუ მას შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სხვა მოთხოვნა, არა აქვს ფინანსური და აკადემიური დავალიანება.
18. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საბაზო დეპარტამენტში სწავლების მერვე სემესტრის საგამოცდო სესიის დროს.
19. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი ვალდებულია, დაცვამდე სულ ცოტა ერთი კვირით ადრე განათავსოს განცხადებები დაგეგმილი დაცვების შესახებ ფაკულტეტის განცხადებების დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე შემდეგი ინფორმაციის მითითებით:
 - დაცვის თარიღი და დრო;
 - დაცვის ჩატარების ზუსტი ადგილი;
 - დაცვის კომისიის წევრების ვინაობა;
 - დაცვაზე დაშვებულ სტუდენტთა სია საბაკალავრო ნაშრომის თემის სახელწოდების მითითებით.
20. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა წარმართება ღიად და საჯაროდ. დაუშვებელია დაცვის წარმართვა დახურულ კარს მიღმა.
21. დასაშვებია ერთ სხდომაზე რამოდენიმე დაცვის ჩატარება.
22. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა მიმდინარეობს ქართულ ენაზე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შესრულებულია უცხოენოვანი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში.
23. დაცვის დაწყებამდე გამოცხადებული უნდა იყოს დაცვის წარმართვის წესი. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები ვალდებული არიან გაეცნონ საბაკალავრო ნაშრომს დაცვის დაწყებამდე. საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებით პირობებს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო. ასეთ შემთხვევაში ეს პირობები გამოცხადებული უნდა იყოს დაცვამდე სულ ცოტა ერთი კვირით ადრე.
24. დაცვის კომისიის მდივანი აცნობს დამსწრეთ სტუდენტის ვინაობას.
25. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა იწყება სტუდენტის 10-15 წუთიანი მოხსენებით მის მიერ შესრულებული ნაშრომის შესახებ. სტუდენტის მოხსენებაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს:
 - საბაკალავრო ნაშრომის თემა;
 - თემის აქტუალობა;
 - საბაკალავრო ნაშრომის მიზნები და ამოცანები;
 - მიღებული დასკვნები, მათი თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება.
26. სტუდენტის მოხსენების შემდეგ კომისიის წევრებს საშუალება ეძლევათ დაუსვან მას კითხვები წარმოდგენილი თემის შესახებ. სტუდენტი ვალდებულია თანმიმდევრულად გასცეს პასუხი თითოეულ შეკითხვას. კომისიის თავმჯდომარე აკონტროლებს, რომ კომისიის ყველა წევრს მიეცეს კითხვების დასმის საშუალება. დაცვის დროს კითხვების დასმის უფლება აქვს მხოლოდ კომისიის წევრს. **საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცესს წარმართავს კომისიის თავმჯდომარე;**
27. ერთი სტუდენტის დაცვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 40 წუთს. დროს აკონტროლებს კომისიის მდივანი.
28. საბაკალავრო ნაშრომის დაცვამდე სულ ცოტა ორი კვირით ადრე ხელმძღვანელმა უნდა წარადგინოს წერილობითი დასკვნა საბაკალავრო ნაშრომის შეფასებით დანართი №2-ის შესაბამისად. ხელმძღვანელის დასკვნაში აუცილებლად უნდა იყოს მოყვანილი:
 - თემის აქტუალობა;
 - მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა;

- ნაშრომის ლოგიკური თანმიმდევრობა;
- დასმული საკითხების გადაწყვეტის ადეკვატურობა;
- დადებითი შეფასების შემთხვევაში – შუამდგომლობა, რათა ნაშრომი დაშვებულ იქნას დაცვაზე.

29. დადებითი შეფასების შემთხვევაში, ხელმძღვანელის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შეფასება (ქულა) არ შეიძლება გახდეს საჯარო, სანამ არ დასრულდება დაცვა და არ იქნება ცნობილი დაცვის კომისიის წევრების შეფასება.
30. ხელმძღვანელის დასკვნა დამოწმებული უნდა იყოს ფაკულტეტის ბეჭდით და მასზე აღნიშნული უნდა იყოს დოკუმენტის მიღების თარიღი.
31. სტუდენტის მიერ ნაშრომის წარმოდგენისა და მისი განხილვის დასრულების შემდეგ, კომისიის თითოეულმა წევრმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი ნაშრომი დანართი №3-ის შესაბამისად.
32. კომისიის ყოველმა წევრმა საჯაროდ უნდა განაცხადოს თავისი შეფასება, რის შემდეგაც მდივანმა უნდა გამოიყვანოს საშუალო ქულა (კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკული). შემდეგ, მდივანმა უნდა გააცნოს დამსწრეთ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება.
33. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრების შეფასებების საშუალო ქულისა და საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების ჯამს.
34. საბაკალავრო ნაშრომში სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებები ფორმდება შესაბამისი უწყისის ფორმაში დანართი №4 და/ან დანართი №5-ის შესაბამისად.
35. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით შემდეგი სქემის მიხედვით:

ქულების განაწილება	შეფასება
91-100	(A) ფრიადი
81-90	(B) ძალიან კარგი
71-80	(C) კარგი
61-70	(D) დამაკმაყოფილებელი
51-60	(E) საკმარისი
41-50	(FX) ვერ ჩააბარა (რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40	(F) ჩაიჭრა (რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

36. თუ საბაკალავრო ნაშრომი შეფასდა 41-დან 50 ქულის ჩათვლით, დაცვის ხელმეორედ დანიშვნა შესაძლებელია მომდევნო სემესტრის დაწყებამდე, პირველი დაცვიდან სულ მცირე ერთი თვის შემდეგ.
37. თუ სტუდენტი არ გამოცხადდა საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სხვადასხვა მიზეზების გამო მას საშუალება ეძლევა საბაკალავრო ნაშრომი დაიცვას მომდევნო სემესტრის დაწყებამდე.
38. სტუდენტის განცხადება განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ ფაკულტეტის დეკანს უნდა წარედგინოს პირველი დაცვის შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.
39. თუ საბაკალავრო ნაშრომი შეფასდა 41-ზე ნაკლები ქულით, მისი განმეორებითი დაცვა არ მოხდება. სტუდენტს უფლება ეძლევა დაწეროს ახალი ნაშრომი იმავე ან სხვა თემაზე, იგივე ან სხვა ხელმძღვანელთან. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს დამატებითი გადასახადი შესაბამისი კრედიტების ასათვისებლად და აღმოფხვრას აკადემიური დავალიანება დამატებით სემესტრებში.
40. თუ სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტში სტუდენტს დარჩენილი აქვს აკადემიური დავალიანება, მხოლოდ საბაკალავრო ნაშრომის მოუმზადებლობისა და დაუცველობის გამო,

მას შესაძლებლობა ეძლევა, მიმდინარე ან მომდევნო სემესტრებში მოამზადოს და დაიცვას საბაკალავრო ნაშრომი საკუთარი ხარჯით;

41. სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს საბაკალავრო ნაშრომის დაცვისას მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანატში ან/და ფაკულტეტის ან/და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. გასაჩივრება უნდა მოხდეს დაცვის დღიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების ყოველი შემთხვევა განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა. ფაკულტეტის საბჭოსა და შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია დაცვის ხელმეორედ დანიშვნა.
42. პროფესორის დატვირთვა ერთი საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელად უტოლდება 10 საკონტაქტო საათს, დაცვის კომისიის წევრად კი – 1 საათს. პროფესორის შრომის ანაზღაურება რეგულირდება ინდივიდუალური ხელშეკრულებით და ფორმდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.
43. საბაკალავრო ნაშრომის საქმის წარმოებისას არასწორი ან ყალბი მონაცემების წარდგენა არის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის არგაცემის ან ჩამორთმევის საფუძველი. ასეთ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
44. დაცვის შემდეგ საბაკალავრო ნაშრომი 2 აკადემიური წლის განმავლობაში ინახება საბაზო დეპარტამენტში ნაშრომის დაცვის ოქმის ამონაწერთან ერთად. აღნიშნული პერიოდის შემდეგ საბაკალავრო ნაშრომი დაცვის ოქმის ამონაწერთან ერთად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.

უნივერსიტეტის რექტორი

ირმა შიოშვილი

დანართი №1

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

[ფაკულტეტის სახელწოდება]

[დეპარტამენტის სახელწოდება]

[სტუდენტის სახელი და გვარი]

საბაკალავრო ნაშრომი

[საბაკალავრო ნაშრომის სახელწოდება]

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

საგანმანათლებლო პროგრამა: [სახელწოდება]

ხელმძღვანელი: [თანამდებობა, წოდება, სახელი, გვარი]

თელავი
2015 წ.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: _____

201 ____ / 201____ სასწავლო წელი
 _____ სემესტრი

ბ.ა.

ბაკალავრიატი

**საბაკალავრო ნაშრომის შეფასების უწყისი
 ხელმძღვანელის დასკვნა**

საბაკალავრო ნაშრომის თემა: _____

სტუდენტი: _____

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი: _____

დასკვნის შემუშავების თარიღი: “ ____ “ _____ 201 ____ წელი

კრიტერიუმი	კომენტარი	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება
თემის აქტუალობა		15	
მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა		15	
ნაშრომის ლოგიკური თანმიმდევრობა		15	
დასმული საკითხების გადაწყვეტის ადეკვატურობა		15	
ქულათა ჯამი		60	
შუამდგომლობა			

ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

დასკვნის მიღების თარიღი: “ ____ “ _____ 201 ____ წელი

ფაკულტეტის დეკანი: _____

ბ.ა.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: _____

201 ____ / 201____ სასწავლო წელი
 _____ სემესტრი

ბ.ა.

ბაკალავრიატი

**საბაკალავრო ნაშრომის შეფასების უწყისი
 კომისიის წევრის შეფასება**

საბაკალავრო ნაშრომის თემა: _____

სტუდენტი: _____

საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი: _____

საბაკალავრო ნაშრომის დაცვის ჩატარების თარიღი: “ ____ “ _____ 201 ____ წელი

კრიტერიუმი	კომენტარი	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება
თემის აქტუალობა		10	
ნაშრომის ლოგიკურობა		10	
ნაშრომის გაფორმება		5	
სტუდენტის პრეზენტაცია		5	
სტუდენტის მიერ კითხვებზე პასუხის გაცემა		10	
ქულათა ჯამი		40	

კომისიის წევრის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის დეკანი: _____

ბ.ა.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: _____

201 ____ / 201 ____ სასწავლო წელი
 _____ სემესტრი

ბ.ა.

ბაკალავრიატი

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების უწყისი

სწავლების წელი: _____ კრედიტების რაოდენობა: _____ სტატუსი: _____

საბაკალავრო ნაშრომის თემა: _____

სტუდენტი: _____

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი: _____

საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები: _____

საბაკალავრო ნაშრომის დაცვის ჩატარების თარიღი: “ ____ “ _____ 201 ____ წელი

ხელმძღვანელის შეფასება (მაქს. 60 ქ.)	კომისიის წევრების შეფასებების საშუალო ქულა (მაქს. 40 ქ.)	ხელმძღვანელის შეფასებისა და კომისიის წევრების შეფასებების საშუალო ქულის ჯამი (მაქს. 100 ქ.)	საბოლოო შეფასება	ხელმძღვანელის ხელმოწერა	კომისიის წევრების ხელმოწერები
1	2	3	4	5	6

ფაკულტეტის დეკანი: _____

ბ.ა.

შეფასების სისტემის განაწილების სქემა:

ქულების განაწილება	შეფასება
91-100	(A) ფრიადი
81-90	(B) ძალიან კარგი
71-80	(C) კარგი
61-70	(D) დამაკმაყოფილებელი
51-60	(E) საკმარისი
41-50	(FX) ვერ ჩააბარა (რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40	(F) ჩაიჭრა (რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: _____

201 ____ / 201____ სასწავლო წელი
 _____ სემესტრი

ბ.ა.

ბაკალავრიატი

**საბაკალავრო ნაშრომის შეფასების უწყისი
 დამატებითი დაცვისათვის**

სწავლების წელი: _____ კრედიტების რაოდენობა: _____ სტატუსი: _____

საბაკალავრო ნაშრომის თემა: _____

სტუდენტი: _____

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი: _____

საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები: _____

საბაკალავრო ნაშრომის დაცვის ჩატარების თარიღი: “ ____ “ _____ 201 ____ წელი

ხელმძღვანელის შეფასება (მაქს. 40 ქ.)	კომისიის წევრების შეფასებების საშუალო ქულა (მაქს. 60 ქ.)	ხელმძღვანელის შეფასებისა და კომისიის წევრების შეფასებების საშუალო ქულის ჯამი (მაქს. 100 ქ.)	საბოლოო შეფასება	ხელმძღვანელის ხელმოწერა	კომისიის წევრების ხელმოწერები
1	2	3	4	5	6

ფაკულტეტის დეკანი: _____

ბ.ა.

შეფასების სისტემის განაწილების სქემა:

ქულების განაწილება	შეფასება
91-100	(A) ფრიადი
81-90	(B) მაღიან კარგი
71-80	(C) კარგი
61-70	(D) დამაკმაყოფილებელი
51-60	(E) საკმარისი
41-50	(FX) ვერ ჩააბარა (რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40	(F) ჩაიჭრა (რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)